## ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N06

2023 წლის 25 იანვარი
ქ. ამბროლაური

**ა(ა)იპ „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის დასუფთავების და კეთილმოწყობის სამსახურის“ ხელმძღვანელის 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის N01 დადგენილებით დამტკიცებული „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ 143-ე მუხლის შესაბამისად, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის დასუფთავების და კეთილმოწყობის სამსახურის“ დირექტორის ანგარიში 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ შეფასდეს დამაკმაყოფილებლად (ანგარიში თან ერთვის).
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ამბროლაური, კოსტავას ქუჩა N13).
3. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: ასლან საგანელიძე

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის დასუფთავების და კეთილმოწყობის სამსახურის
დირექტორის ანგარიში 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

გასული 2022 წლის განმავლობასი დასუფთავების და კეთილმოწყობის სამსახური დასახული პროგრამის და რეკომენდაციების გათვალისწინებით პირნათლად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას.მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე ინტენსიურად მიმდინარეობდა დასუფთავების,ნაგვის გატანის,გამწვანების,გარე განათების და კეთილმოწყობის სამუშაოები.

გარე განათების ქვესამსახური მობილიზებული იყო ,რათა ქალაქ ამბროლაურში და მუნიციპალიტეტის სოფლებში გამართულად ემუშავა განათების სისტემას.2022 წლის დასაწყისისათვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებული იყო 5850 სანათი წერტილი.მათ შორის 1190 ქალაქ ამბროლაურში და 4660 სანათი წერტილი სოფლებში.2022 წლის ბოლოსათვის ექსპლოატაციაში შევიდა 370 ახალი სანათი წერტილი.2023 წლისათვის სანათი წერტილების რაოდენობამ მიაღწია 6220 ერთეულს.

გარე განათების გამართული მუშაობისათვის კეთილსინდისიერად მუშაობდა გარე განათების ქვესამსახურის 6 კაციანი ბრიგადა.

2022 წლისათვის ქვესამსახურში გამოყოფილი იყო 168275 ლარის სუბსიდია,რომელიც ათვისებულია მთლიანად. 2022 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის მასშტაბით შეიცვალა და დამონტაჟდა გარე განათების შემდეგი სახის მასალები და მოწყობილობები:

1.ნათურა 75 w=182

2. ნათურა 20w=309

3. ნათურა 30w=1035

4. ნათურა 26w=85

5. ნათურა დრ.70w=87

6. ნათურა დრ.150w=65

7. ნათურა 5w ორფეხა=109

8.პროჟექტორი 50w=27

9 პროჟექტორი 30w=38

10. პროჟექტორი 20w=39

11. პროჟექტორი 10w=33

12.იგნიტორი =105

25.კლიმნიკი =122

26.დეკორატიული ბრა =14

27.ლედ.ლა[illegible]ნი 30w =473

28.ალუმინის სანათი =189

29.დეკორ. სანათი ბურთულა=29

30.დიოდური ლენტი=100

31.დიოდური ლენტის ადაპტ.=12

32.ლედ.ლამპ.ადაპტორი=59

33.ელ.გილზი(პატრონა)=165

შეკეთდა და შეიცვალა დაზიანებული

სანათი ბოძი 12 ცალი

13.დროსელი 70w=67

14.დროსელი 150 w=107

15.დროსელი 400 w=23

16.ელ.გამშვები=41

17.ელ.ჩამრთველი =75

18.ფოტორელე =103

19. ელ.სადენი =2x10=3300 ;.

20.ელ.სადენი 2x4=633 ;

21.ელ.სადენი 2x25=343 ;

22.მრიცხველი =3

23.მრიცხველის ყუთი =3

24.ელ.გადამყვანი =47

V გამწვანების ქვესამსახურში 2022 წლის განმავლობაში შესრულებულია სხვადასხვა სამუშაოები

მუნიციპალიტეტის მასშტაბით მოიჭრა 38 ძირი მოსახლეობისთვის საფრთხისშემცველი ხმელი ხე. მუნიციპალიტეტის 6 სოფელში სასოფლო გზებზე გაიკაფა ხეხილი და სხვა სახის ხეები ნაგვის გამტანი მანქანების თავისუფლად მოძრაობის მიზნით.შემოიბარა ორჯერადად ქალაქის ტერიტორიაზე დარგული ნორჩი ხეები 180 ძირი და მიეცა სასუქი .გაიკრიჭა სკვერებში არსებული ბუჩქები დაშეიწამლა ორჯერადად ბზის ბუჩქები.დაითესა ᲜᲓᲐᲠᲘ 180 მ² ტერიტორიაზე.დაირგა 15 ძირი ცაცხვის ხე,გაითიბა გაზონებში და სკვერებში ბალახის საფარი 6800 მ²ტერიტორიაზე 3–ჯერ.

შეთეთრდა ქალაქის ტერიტორიაზე და აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე განლაგებული 300 ძირამდე ხე ორჯერადად.ყოველდღიურად მიმდინარეობს გამწვანების და კეთილმოწყობის სამუსაოები.

ხორციელდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1595 ჰა ტყის მასივების შემოწმება–დათვალიერება.უკანონო ჭრას ან რაიმე შემთხვევებს ადგილი არ ქონია.

გამწვანების ქვესამსახურში გამოყოფილი ტრანსფერი 69335 ლარის ოდენობით ათვისებულია მთლიანად.

დასუფთავების და ნაგვის გატანის ქვესამსახურში სამუშაოები მიმდინარეობდა ყოველდღიურ რეჟიმში.მუნიციპალიტეტის სოფლებში დღეის მდგომარეობით განლაგებულია 511 ნაგვის კონტეინერი,ხოლო ქალაქ ამბროლაურში 163.სულ მუნიციპალიტეტის მასშტაბით

განლაგებულია 674 ცალი კონტეინერი.გაიზარდა კონტეინერების მომსახურების არეალი.ნაგვის კონტეინერების დაცლა სოფლებში ხდება კვირაში 3–4 –ჯერ ,ხოლო ქალაქ ამბროლაურში ყოველდღიურად.ზაფხულის პერიოდში სოფლებში კონტეინერების გაცლა ხდება 5–6–ჯერ,ხოლო ქალაქ ამბროლაურში ხშირ შემთხვევაში დღეში ორჯერ(დამატებით გამოძახების შემთხვევაში).2022 წლის განმავლობაში ნაგავსაყრელზე გატანილია 20100მ³ საყოფაცხოვრებო და სხვა ნარჩენები.დეკემბრის თვეში მიღებულია 20 ახალი კონტეინერი, რომელიც არასაკმარისია მოთხოვნასთან შედარებით.აღსანიშნავია კონტეინერების მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევები.მიმდინარე წელს მანქანის დაჯახების შედეგად განადგურდა ხუთი რკინის კონტეინერი და დაიწვა მთლიანად ან ნაწილობრივ 4 პლასტმასის კონტეინერი. ხშირია კონტეინერების სავალი ბორბლების მოპარვის ფაქტები.

რაც შეეხება დასუფთავებას, წლის განმავლობაში ინტენსიურად მიმდინარეობდა 66 351 მ² ქალაქის ქუჩების, 10125 მ²ტროტუარების,5255მ² გაზონების და 19299 მ² სკვერების დასუფთავება.

მოვახდინეთ სანიაღვრე არხების გაწმენდა და ამოღებული ნარჩენების გატანა.

ასევე რეგულარულად სუფთავდება მუნიციპალიტეტის სამ სოფელში(ჭრებალო,ნიკორწმინდა,წესი)ცენტრალური მოედნები და საზოგადოებრივი საპირფარეშოები .

აღსანისნავია ,რომ ქალაქ ამბროლაურში ფუნქციონირებს ორი საზოგადოებრივი საპირფარეშო, რომელიც ყოველდღიურად სუფთავდება, მაგრამ ხშირია უნიტაზების და უნიტაზის ბაკის დამტვრევის და ქურდობის შემთხვევები,სარკეების დამტვრევის და სანათი მოწყობილობების დაზიანების ფაქტები.

2023 წლისათვის ქალაქ ამბროლაურში გაიზრდება დასასუფთავებელი ქუჩების და ტროტუარების ფართობი, დაახლოებით 9–10 ათასი მ²–ით,რაც დამატებით მოითხოვს დასუფთავების სამსახურის მეტ პასუხისმგებლობას დაკისრებული მოვალეობის შესრულების საქმეში.

2022 წელს დასუფთავების და ნაგვის გატანის ქვესამსახურში გამოყოფილი სუბსიდია 917065 ლარი ათვისებულია 99,8 პროცენტით.

სამსახური მზად არის მომავალშიც პირნათლად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობა.

დევიზისათვის: ,,სუფთა გარემო–ჯანმრთელი მოსახლეობა“

42293564

სამსახურის დირექტორი: გიორგი გუჯეჯიანი

ა(ა)იპ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის დასუფთავების და კეთილმოწყობის სამსახურის ანგარიში

2022 წელს გამოყოფილი ტრანსფერების ათვისების შესახებ /ლარი/

| N | მაჩვენებლ დასახელე | დასუფთავება და ნარჩენების გატანა | | | მწვანე ნარგავების მოვლა–პატრონობა | | | გარე განათების ქსელის მოვლა–პატრონობა | | | სულ | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | გამოყოფ. ტრანსფე | ფაქტ.ათ ვისება | + – | გამოყოფ .ტრანსფ ე | ფაქტ.ათვ ისება | + – | გამოყოფ. ტრანსფე | ფაქტ.ათვ ისება | + – | გამოყო ფ. ტრანსფ ე | ფაქტ.ათ ვისება | + – |
| 1. | გამოყოფ. ტრანსფერ | 917065 | 916928 | –137 | 69335 | 69329 | –6 | 168275 | 168264 | –11 | 1154675 | 1154521 | –154 |
| 2. | შრ. ანაზღ. ფონდი | 501240 | 501233 | –7 | 61800 | 61794 | –6 | 51275 | 51264 | –11 | 614315 | 614291 | –24 |
| 3. | საქონ. და მომსახურ | 413825 | 413705 | –120 | 7535 | 7535 | – | 117000 | 117000 | – | 538360 | 538240 | –120 |
| 4. | შტატგარე შე ფონდი | 10000 | 9671 | –329 | | | | | | | 10000 | 9671 | –329 |
| 5. | მივლინებ. ფონდი | 1000 | 450 | –550 | | | | | | | 1000 | 450 | –550 |
| 6. | ოფისის ხარჯები | 10000 | 10000 | | | | | | | | 10000 | 10000 | |
| 7. | უნიფორმ. ხარჯები | 6000 | 6000 | | | | | | | | 6000 | 6000 | |
| 8. | ტრანსპორ შენ.ხარჯ. | 294470 | 294425 | –45 | | | | | | | 294470 | 294425 | –45 |
| 9. | სხვა დან.საქ და მომსახ. | 92355 | 93159 | +804 | | | | | | | 92355 | 93159 | +804 |
| 10. | არაფინანს აქტივები | 2000 | 1990 | –10 | | | | | | | 2000 | 1990 | –10 |
| 11. | მუშაკთა რაოდ. | 73 | 73 | – | 9 | 9 | | 6 | 6 | | 88 | 88 | |
| 12. | საკუთ.შემ ოს.ხარჯ | 6700 | 7598 | | | | | | | | 6700 | 6598 | |

42293564

დირექტორი: /გ.გუჯეჯიანი/ ბუღალტერი: /ი.ქურციკიძე/